ოქმი:**ო63. 63260825**
თარიღი:**23/03/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 6

ქ. სამტრედია. 20 მარტი, 2026 წელი.

2026 წლის 20 მარტს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535818 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო

მონაკვეთის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

3. ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

4. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი’’-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535828 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების’’ 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.63253582 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 63253583 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების’’ 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535810 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

10. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №g-63. 632535815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

12. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

13. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის სს „ლიბერთი ბანკი“-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304) უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

14. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,მ.სირბილაძე/

15. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის*** N 62-622607295 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,ეროსი მანჯგალაძის სახელობის ***კულტურის ცენტრი’’-ს*** 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, სუბსიდიის გეგმით გასაწევ ხარჯებში, შრომის ანაზღაურების გეგმა მცირდება 14.8 ათ.ლარით, რაც გამოწვეულია ორგანიზაციული ცვლილებებით, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას (საქართველოს შრომის კოდექსის მუხლი N47) საშტატო განრიგში 4 ერთეულით. კერძოდ: ეწრის კლუბის გამგის, ოფეთის კულტურის მუშაკის, ხუნჯულაურის კლუბის გამგის, ტოლების კულტურის მუშაკის შემცირებას, შესაბამისად, არაფინანსური აქტივების გეგმა 14.8 ათ.ლარით იზრდება.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 19 თებერვალის, წერილობითი მომართვები N35516. N35980 და N35981, რომლითაც მოთხოვნილია, (მოქალაქე, თორნიკე ვიბლიანის განცხადების საფუძველზე) მისამართის მინიჭება უძრავ ნივთებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა კომისიის სხდომა და ინფორმაცია გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს შესათანხმებლად. 2026 წლის 16 მარტს საკრებულოში შემოვიდა ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის*** N62-6226075132 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების საკითხს.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ უსახელდებო მონაკვეთს ეწოდოს თამარ თავაძის ქუჩის I-ლი შესახვევი, (დანართი სიტუაციური რუკა).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 16 მარტის*** N62-6226075127 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების საკითხს.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ქალაქ სამტრედიაში, **ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ** არსებულ უსახელდებო მონაკვეთს ეწოდოს ამირან ბახტაძის ქუჩის I-ლი შესახვევი, (დანართი სიტუაციური რუკა).

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის*** N62-622607292 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან **სოციალური დახმარების გაცემის** წესის ღონისძიებათა ხარჯებში შესატან ცვლილებებს. კერძოდ,

შემცირდეს: მუხლი 14. ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 400 ლარით; შესაბამისად გაიზარდოს:

მუხლი 17. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა - 400 ლარით; (კრედიტორული დავალიანება);

მოწესრიგდეს:

მუხლი 27. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული და უსახლკარო მოქალაქეების დახმარების პროგრამა, კერძოდ გაიზარდოს - 64 500 ლარით; (კრედიტორული დავალიანება);

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით. კერძოდ, დადგენილების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის ნაცვლად მითითებული იყო მე-3 პუნქტი. შესაბამისად, ხორციელდება ამ ხარვეზის გასწორება.

,,დ) მე-14 მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (საჭიროებენ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას), უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 100-დან 1000 ლარის ჩათვლით:

ა) არის მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, შშმპ, შეჭირვებული- 100 ლარი;

ბ) არის მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, არა აქვს საკუთარი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში –150 ლარი;

გ) წარმოდენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 – 150 ლარი;

დ) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100, დაავადებულია რამოდენიმე ქრონიკული დაავადებით – 200 ლარი;

ე) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100, აქვს უმძიმესი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები – 300 ლარი;

ვ) არის შშმ პირი, მრავალშვილიანი (3 და მეტი) ოჯახი, რომლებსაც არა აქვს საცხოვრებელი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში – 500 ლარი;

ზ) საჭიროებენ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას – 500 ლარი. განსაკუთრებულ შემთხვევაში 1000 ლარი.''

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის*** N62-622607299 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის **„სათნოების სახლი“-ს** 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 01.01.2026 წლის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლებით გასაწევ ხარჯებში ნაშთის სახით დარჩა 10.5 ათ.ლარი. საკუთარი შემოსავლების გეგმა იზრდება 10.5 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯებში, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა გაიზრდება 10.5 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო,***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის*** N62-622607294 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,**კომუნალური გაერთიანება’’-ს** 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ბიუჯეტში ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, არაფინანსური აქტივების გეგმა მცირდება 10.0 ათ.ლარით. შესაბამისად, საქონელსა და მომსახურეობის გეგმა იზრდება 10.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის*** N62-622607293 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,**გამწვანებისა და კეთილმოწყობის** გაერთიანება’’-ს 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება, 2026 წლის 1 იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების შემოსავლის ნაშთის, 23.3 ათ.ლარის ასახვა სუბსიდიის გეგმაში. შესაბამისად, ხარჯებში იზრდება არაფინანსური აქტივების ხარჯების გეგმა 23.3 ათ.ლარით. კერძოდ, სხვა სატრანსპორტო საშუალებების შეძენის ხარჯის გეგმა იზრდება 23.3 ათ.ლარით. ასევე სუბსიდიის გეგმაში ხორციელდება მუხლობრივი

ცვლილება. კერძოდ, საქონლისა და მომსახურების ხარჯის გეგმა მცირდება 2.1 ათ ლარით და შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის გეგმა იზრდება 2.1 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის*** N62-622607296 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა **(ბაღები და ბაგა-ბაღები)** გაერთიანების'' 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, დანართი N5-ით დამტკიცებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა იზრდება ერთი ერთეულით, თბოტექნიკოსის სპეციალისტი (თანამდებობრივი სარგო 1000.0 ლარი, ბაგა-ბაღებში არსებული ცენტრალური გათბობის სისტემის სწორად წარმართვისათვის). აღნიშნული ცვლილება არ იწვევს სუბსიდიის გაზრდას.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის*** N62-622607298 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, **შპს „სამტრედიის მაცნე"-ს** 2026 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 01.01.2026 წლის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლებით გასაწევ ხარჯებში ნაშთის სახით დარჩა 2.6 ათ.ლარი. ხორციელდება აღნიშნული თანხით საკუთარი შემოსავლების გეგმის გაზრდა. შესაბამისად, ხარჯში საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდა 2.6 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 26 თებერვლის*** N62-622605773 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის **2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშის,** საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პედიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ასევე, მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახადების ფაქტობრივმა შესრულებამ 26,394.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (გეგმა 26,319.4 ათასი ლარი) 100.3 პროცენტია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი – 22,947.1 ათასი ლარი) შედარებით 3,447.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3,843.8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 2,210.9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 105.9 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,527.0 ათასი ლარი. წინა წლის მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი – 3,266.2 ათასი ლარი) შედარებით 577.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 22,551.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (გეგმა 22,519.4 ათასი ლარი) 100.1 პროცენტია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 19,680.9 ათასი ლარი) შედარებით 2,870.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. დღგ-ს ზრდა გამოწვეულია 2025 წელს ეკონომიკური ზრდის შედეგად, განახლებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების გათვალისწინებით.

- Ø დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 289,5 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 289,4 ათასი ლარი.
- Ø საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 7,827.2 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 7,755.2 ათასი ლარი.
- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 2,600.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 2,469.8 ათასი ლარი.
- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის N1106 განკარგულებით, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 1,075.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 1,070.1 ათასი ლარი.

- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 27 აგვისტოს N1424 განკარგულებით, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 24.3 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 24.3 ათასი ლარი.

- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 699.4 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 695.6 ათასი

ლარი.

- Ø სამტრედიის მუნიციპალიტეტმა CESL-ს პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საპროექტო იდეების კონკურსში, შეფასების კომისიის გადაწყვეტილებით მოიპოვა საგრანტო დაფინანსება „მდინარე რიონზე არსებული ბორანის რეკონსტრუქცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის“ საპროექტო იდეისთვის - 207.3 ათასი ლარი. ფაქტობრივად ჩარიცხულია - 81.1 ათასი ლარი.

- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულებით ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 660.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 660.0 ათასი ლარი.
- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებით, „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 405.8 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 402.2 ათასი ლარი.
- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა პატრონობის სისტემის განვითარების მიზნით სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 143.8 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 143.8 ათასი ლარი.

- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 422.6 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 274.9 ათასი ლარი.

- Ø საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 177.0 ათასი ლარი, ფაქტობრივად ჩარიცხულია - 177.0 ათასი ლარი.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5 356.5 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები შეადგენს - 1 951.0 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 3 405.5 ათას ლარს.

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5 604.9 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები შეადგენს - 2 796.7 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 2 808.2 ათას ლარს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 44,190.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (49,664.4 ათასი ლარი) 89.0 პროცენტია.

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5,827.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6,060.3 ათასი ლარი) 96.2 პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა ხარჯები: სამტრედიის საკრებულო - 1,128.2 ათასი ლარი,

მუნიციპალიტეტის მერია - 4,615.1 ათასი ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურეობაზე საკასო ხარჯმა შეადგინა 77.7 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 70.1 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 7.6 ათასი ლარი. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 6.5 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 16,438.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 81.1%-ია.

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 3,799.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.2 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 2,667.6 ათასი ლარი მოხმარდა ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანებას, 934.2 ათასი ლარის ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას, დასუფთავებას მოხმარდა 139.8 ათასი ლარი, ხოლო კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციას - 57.8 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2025 წლის განმავლობაში დაფინანსდა 6,501.3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (7,056.9 ათასი ლარი), 92.1 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების დაფინანსებაზე მიმართული იქნა 5,011.2 ათასი ლარი, ზოგადი განათლების ხელშეწყობის დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 951.3 ათასი ლარი, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 404.6 ათასი ლარით, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობას მოხმარდა 134.2 ათასი ლარი.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 6,023.1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6,135.7 ათასი ლარისა, რაც გეგმის 98.2 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული სახსრებიდან სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 3,476.4 ათასი ლარი, კულტურის განვითარების ხელშეწყობას - 1,835.1 ათასი ლარი, შპს „სამტრედიის მაცნე“-ს - 137.6 ათასი ლარი, ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრს - 75.1 ათასი ლარი, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსებას - 220.5 ათასი ლარი, ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსებას - 268.0 ათასი ლარი, ხოლო - კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაციას - 10.4 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 5,600.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.1%-ს შეადგენს (გეგმა - 6,283.1 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას მოხმარდა 662.6 ათასი ლარი, სოციალურ პროგრამებს - 4,236.7 ათასი ლარი, ხოლო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას - 701.3 ათასი ლარი .

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს

სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის*** N62-622607291 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის **ბიუჯეტის** დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხა განესაზღვრა - 2,186.6 ათასი ლარით. შესაბამისად გაიზარდოს (04 02 კოდი) ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 2,186.6 ათასი ლარით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 11 მარტის N519 განკარგულების საფუძველზე სამტრედიის მუნიციპალიტეტს მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღჭურვის მიზნით გამოეყო თანხა 975.8 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს (04 04 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა-რეაბილიტაციის საქონელი და მომსახურების გეგმა - 495.0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 480.8 ათასი ლარით.

„მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 26 თებერვლის N431 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტის შემოსულობების გათვალისწინებით ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით გამოეყო თანხა - 300.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე შემცირდეს არაფინანსური აქტივების კლების გეგმა - 300.0 ათასი ლარის ოდენობით.

მიმდინარე პერიოდის გეგმა-ფაქტის ანალიზიდან გამომდინარე შემცირდეს სულ - 880.7 ათ. ლარით:

- **(01 01 02 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 24.0 ათ. ლარით;
- **(01 02 01 კოდი) სარეზერვო ფონდის** სხვა ხარჯების გეგმა - 71.6 ათ. ლარით;
- **(02 02 01 კოდი) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა - 34.0 ათ. ლარით;
- **(02 02 02 კოდი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 10.0 ათ. ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 30.0 ათ. ლარით;
- **(02 02 03 კოდი) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 117.8 ათ. ლარით;
- **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 189.0 ათ. ლარით;
- **(03 04 კოდი) კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური

აქტივების ზრდის გეგმა - 56.0 ათ. ლარით;

- **(05 07 კოდი) კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 348.3 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს - 880.7 ათ. ლარით:

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 575.9 ათასი ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმა - 120.0 ათასი ლარით;
- **(03 03 კოდი) დასუფთავების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 60.0 ათ. ლარით;
- **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 124.8 ათ. ლარით;

მუხლობრივი ცვლილება:

- **(03 01 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს 10.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა;

- **(06 02 04 კოდი) სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდეს 0.4 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა;

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 164.9 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **(05 02 02 კოდი) ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს - 14.8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა.

- **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 5.8 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს (01 01 02 კოდი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 5.8 ათასი ლარით.

- არაფინანსური აქტივების კლების გეგმა შემცირდეს 400.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ჯარიმები, სანქციები, საურავების გეგმა - 400.0 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ

უღრელიძემ ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 26 თებერვლის*** N62-622605738 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის სს „ლიბერთი ბანკი"-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304) უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სს „ლიბერთი ბანკი"-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304), ბანკომატის განთავსებისათვის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართი.

- ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 26 თებერვლის*** N62-622605777 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-17 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების ხელშეკრულებით დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. სათანადო ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს შორის, ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, დამტკიცდეს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის

უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535818 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. ქალაქ სამტრედიაში, თამარ თავაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

3. ქალაქ სამტრედიაში, ამირან ბახტაძის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელდებო მონაკვეთის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

4. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი''-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535828 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ.ნუცუბიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის

მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.63253582 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" -ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 63253583 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

9. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535810 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

10. ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632535815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

12. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ.არველაძე/

13. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის სს „ლიბერთი ბანკი"-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304) უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

14. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,მ.სირბილაძე/

15. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 23 მარტს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი